



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-25-45)

6 ივლისი 2011 წელი

### დადგენილება №25

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ № 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულომ:

#### და ა დ გ ი ნ ა

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ №10 დადგენილებაში (ს.ს.მ. ნაწილი V-ე, 18.08.2010 წ.) და დადგენილებით დამტკიცებული:

1. დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

გ) არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური;

დ) ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახური

ე) მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური;

ვ) იურიდიული სამსახური;

ზ) სახანძრო-სამაშველო სამსახური;

თ) შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საკითხებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური;

ი) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახური;

კ) მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

ლ) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

მ) ზედამხედველობის სამსახური“.

2. დებულების მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი განათლების, კულტურისა და სპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა, მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება, დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია.

ბ) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება.

გ) კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების, ხალხურ შემოქმედების, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატრულ და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა დაგეგმვა.

დ) კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების მომზადება.

ე) ახალგაზრდობაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზი. ბავშვთა და ახალგაზრდობის პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

ვ) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის შემადგენლობა:

ვ.ა.) სამსახურის უფროსი;

ვ.ბ.) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება;

ვ.ბ.ა.) განყოფილების უფროსი;

ვ.გ.) უმცროსი საჯარო თანამდებობის პირები;

ზ) სამსახურის უფროსისა და უმცროსი საჯარო თანამდებობის პირების საქმიანობა კონკრეტული სფეროების მიხედვით განისაზღვრება სამსახურის დებულებით რომელსაც გამგებელი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს მიერ დამტკიცების მიზნით“.

**3. დებულების მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის შემადგენლობა:

ე.ა.) სამსახურის უფროსი;

ე.ბ.) მოქალაქეთა გაწვევის განყოფილება;

ე.გ.) მობილიზაციის განყოფილება;

ე.დ.) განყოფილების უფროსი;

ე.ე.) უმცროსი საჯარო თანამდებობის პირები“.

**4. დადგენილებას თანდართული დანართი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები

№	გამგეობის სამსახურებისა და თანამდებობათა დასახელება	რანგი
<b>1.</b>	<b>ადმინისტრაციული სამსახური</b>	
1.1	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	
1.2.	მთ.სპეციალისტი კადრების და ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
1.3	მთ.სპეციალისტი სამეურნეო და კომუნალურ საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>1.2</b>	<b>მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება</b>	
1.2.1	განყოფილების უფროსი	
1.2.2	მთ. სპეციალისტი მოქალაქეთა მიღებისა და მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა

1.2.3	მთ.სპეციალისტი საზოგადოება-სთან, პრესასთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
1.2.4	მთ.სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
1.3	ტექნიკური პერსონალი	
1.3.1	მძღოლი	
1.3.2	მდივან-რეფერენტი	
1.3.3	დამლაგებელი	
2	<b>ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახური</b>	
2.1	სამსახურის უფროსი	
2.1.1	<b>ეკონომიკის და საინვესტიციო პროექტების განყოფილება</b>	
2.1.1.1	განყოფილების უფროსი	
2.1.1.2	მთ. სპეციალისტი საინვესტიციო პროექტების მომზადების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
2.1.1.3	მთ.სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში	
2.1.1.4	მთ.სპეციალისტი სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
2.1.1.5.	მთ.სპეციალისტი ინფრასტრუქტურის და მშენებლობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
3	<b>არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახური</b>	
3.1	სამსახურის უფროსი	
3.1.1	მთ, სპეციალისტი არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
4	<b>მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური</b>	<b>4</b>
4.1	სამსახურის უფროსი	
4.2	მთ.სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
4.3	მთ.სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5	<b>საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</b>	
5.1	სამსახურის უფროსი	
5.1.1	<b>ბიუჯეტის დაგეგმვის, ანალიზის და სახაზინო მომსახურების განყოფილება</b>	
5.1.1.1	ბიუჯეტის დაგეგმვის, ანალიზის და სახაზინო მომსახურების განყოფილების უფროსი	
5.1.1.2	მთ.სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5.1.1.3	მთ.სპეციალისტი ხაზინის მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5.1.1.4	მთ. სპეციალისტი ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ანალიზის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5.1.2	<b>ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება</b>	
5.1.2.1	ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი	
5.1.2.2	მთ. სპეციალისტი ბანკთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5.1.2.3	მთ. სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
5.1.2.4	მთ. სპეციალისტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში.	უმცროსი საჯარო თანამდებობა

<b>6</b>	<b>მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური</b>	
6.1	სამსახურის უფროსი	
6.1.1	მთ.სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>6.1.2</b>	<b>მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება</b>	
6.1.2.1	განყოფილების უფროსი	
6.1.2.1.1	მთ. სპეციალისტ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>7</b>	<b>განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>	
7.1	სამსახურის უფროსი	
7.2	მთ.სპეციალისტი კულტურის და ძეგლთა დაცვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
7.3	მთ.სპეციალისტი განათლების დარგში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
7.4	მთავარი სპეციალისტი ტურიზმის დარგში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>7.5</b>	<b>სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება</b>	
7.5.1	განყოფილების უფროსი	
7.5.1.1	მთ. სპეციალისტი სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>8</b>	<b>შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საკითხებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური</b>	
8.1	სამსახურის უფროსი	
8.2	მთ.სპეციალისტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
8.3	მთ.სპეციალისტი შრომის სოციალურ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
8.4	მთ.სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
8.5	მთ. სპეციალისტ ვეტერანთა მომსახურების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>9</b>	<b>სახანძრო –სამაშველო სამსახური</b>	
9.1	სამსახურის უფროსი	
9.2	მთ. სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა
9.3	მთ. სპეციალისტი მატერიალური უზრუნ-ველყოფის დარგში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
9.4	ცვლის უფროსი	
9.5	მთავარი სპეციალისტი სახანძრო ზედამხედველობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
9.6	მეხანძრე	
9.7	ოპერატორი	
<b>9.8</b>	<b>დამხმარე მოსამსახურეები</b>	
9.8.1	მძღოლი	
9.8.2	დამლაგებელი	
<b>10</b>	<b>სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახური</b>	
10.1	სამსახურის უფროსი	

10.2	მთ.სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა
10.3	მთ.სპეციალისტი სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>10.4</b>	<b>მოქალაქეთა გაწვევის განყოფილება</b>	
10.4.1	განყოფილების უფროსი	
10.4.1.1	მთ.სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>10.5</b>	<b>მობილიზაციის განყოფილება</b>	
10.5.1	განყოფილების უფროსი	
10.5.1.1	მთ.სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>11</b>	<b>იურიდიული სამსახური</b>	
11.1	სამსახურის უფროსი	
11.2	მთ. სპეციალისტი ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
11.3	მთავარი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების მომზადების საკითხებში	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>12</b>	<b>ზედამხედველობის სამსახური</b>	
12.1	სამსახურის უფროსი	
12.2	მთ. სპეციალისტი	უმცროსი საჯარო თანამდებობა
<b>სულ</b>		

**მუხლი 2.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე :

ალეკო მამეშვილი